

მილიონი ლარი

1 000 000

პირადი მწვრთნელის ინსტიტუტის ხელშეწყობისთვის

საშეჯიბრო-საგამოცდო სისტემა ბავშვებში

პროგრამის მიზნები:

პროექტის მიზანია დარეგულირდეს და გარკვეულ სისტემაში მოექცეს ბავშვებში გასამართი შეჯიბრებების შინაარსი, მათი ჩატარების პრინციპები, უზრუნველყოფილი იქნეს მაქსიმალური უსაფრთხოება და შეჯიბრებაზე პირდაპირ მიბმული გამოცდების საშუალებით ადრეულ ასაკში ბავშვთა სწორი პროფესიული განვითარება.

პროგრამის განსაკუთრებული მიზანია პირადი მწვრთნელის ინსტიტუტის კიდევ უფრო დაფასება და ხელშეწყობა, როგორც შინაარსობრივად, ასევე ფინანსურად. აღნიშნული პროექტი არის საფინანსო ეტაპი ჩვენს მიერ წლების წინ დაანონსებული გეგმის, რომელიც მიზნად ისახავს მმართველობის დეცენტრალიზაციას და პირადი მწვრთნელის ინსტიტუტის წინა პლანზე წამოწევას. გეგმის განხორციელების ეტაპები:

1. **საკლუბო სისტემა** - პირადი მწვრთნელი, როგორც ძიუდოს პოლიტიკის შექმნის მთავარი სუბიექტი. საერთო საპრიზო ფონდი 300 000 ლარი (პროექტი შესრულებულია და მუშაობს).

2. **მომავლი ძიუდო - მოქნილი გზა - წარმატებისკენ** - ძიუდოს ქართული და კლასიკური შინაარსის სინთეზი, სადიკუსიო სავარჯიშო პლატფორმის შექმნა და იქ ჩამოყალიბებული იდეების მიტანა მწვრთნელებამდე კურატორების მეშვეობით. მწვრთნელ-კურატორთა დახვეწილი, მოქნილი და ყველასთვის ღია სისტემის შექმნა. პირადი მწვრთნელების მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებსა და შეჯიბრებში. სახელფასო სისტემა ჭაბუკების დონეზე (2024 წლიდან იგივე პრინციპი ამოქმედდება ახალგაზრდულ ნაკრებთან მიმართებაში) მათი მოსწავლეების წარმატების მიღწევის შემთხვევაში. **საერთო თანხა 350 000 ლარი.** (პროექტი შესრულებულია და მუშაობს)

3. რაც შეეხება ჩვენს მიერ წარმოდგენილ **საშეჯიბრო-საგამოცდო სისტემას**, ის შეიძლება თამამად ჩაითვალოს პროექტ მომავლის ძიუდოს საფინანსო ნაწილად, რადგან სწორედ ამ ეტაპზე მოხდება ერთი მხრივ, თანამედროვე მიდგომების და ცოდნის ჩაშლა უკვე ბავშვების დონეზე (შენიშვნა: აქამდე იგი მხოლოდ სპეციალურ მიზნობრივ პროგრამებში ხორციელდებოდა. მაგ: **გამოწვევა 2020, გამოწვევა 2024**), ხოლო მეორე მხრივ, იქნება პირადი მწვრთნელების ერთგვარი ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურად გამოიწვევებს მათში ენთუზიაზმის და დამოუკიდებლობის განცდის გამყარებას პროფესიონალიზმის გაზრდის პარალელურად. საერთო თანხა 350 000 ლარი. პროექტი განსახორციელებლად ჩაეშვება 2024 წლიდან.

დასკვნა: თუ გადავხედავთ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ პროექტებს გამოდის, რომ მთლიანობაში ყოველწლიურად 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი იქნება განაწილებული პირად მწვრთნელებს შორის 3 სხვადასხვა პროგრამის საშუალებით:

1. საკლუბო სისტემა-300 000 ლარი;
2. პირადი მწვრთნელი - ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში (საშუალოდ) 350 000 ლარი;
3. საშეჯიბრო-საგამოცდო სისტემა ბავშვებში 350 000 ლარი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თანხის განაწილება ხდება წინასწარ განსაზღვრული და დადგენილი პირობების ფარგლებში, რაც ბუნებრივია ამყარებს მართვის სისტემურ მიდგომას, რომელიც თავის მხრივ, გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორებს.

პირველ ორ ასაკობრივ კატეგორიაში (11-12, 13-14) წლის განმავლობაში გაიმართება 6 სარეიტინგო შეჯიბრება: 3 დგომი - ნაგევაზა და 3 ქვეჭიდი - კატამევაზა. რაც შეეხება 15-16 წლის მოზარდებს, წლის განმავლობაში ისინიც მიიღებენ 6 შეჯიბრებაში მონაწილეობას დგომის და ქვეჭიდის პროპორციით 4/2. მე-6 შეჯიბრება იქნება მასტერსი - საქართველოს ჩემპიონატის სახელწოდებით, რომელშიც მონაწილეობის წესები და პრინციპები მოცემულია დანართში #3.

წარმოდგენილი საშეჯიბრო სისტემის ფარგლებში თითოეულ შეჯიბრებაში მონაწილე მიუდღისტები დააგროვებენ სარეიტინგო ქულებს, რაც სეზონის დამთავრებისთანავე მოგვცემს საშუალებას განისაზღვროს კონკრეტული სპორტსმენის ადგილი სარეიტინგო სისტემაში. ცხრილში პირველიდან მესამეცე მიუდღისტამდე მოხვედრის შემთხვევაში, მათი პირადი მწვრთნელი მიიღებს ფულად ჯილდოს ქვემოთ წარმოდგენილი დანართის მიხედვით.

მიღებული თანხის 70% იქნება პირადი მწვრთნელის მიერ თავის შეხედულებისამებრ განსაკარგავი თანხა, ხოლო დარჩენილი 30% მან უნდა მოახმაროს მისი მოსწავლეების სხვადასხვა ფორმით წახალისებას. მაგალითად, შეკრებაზე ან სხვა სპორტულ ღონისძიებაზე წაყვანა, სპორტული ინვენტარის ან აქსესუარის შეძენა და სხვ. აღნიშნულთან დაკავშირებით პირადი მწვრთნელი ვალდებული იქნება ფედერაციას წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში.

პირად მწვრთნელს, რომელსაც აქვს სურვილი იყოს მიმდინარე პროექტების მონაწილე, შესაბამისი წლის საშეჯიბრო სეზონის დაწყებამდე ვალდებულია ჩააბაროს გამოცდები მოთხოვნილ აქტივობებში ფედერაციის საგამოცდო კომისიის წინაშე, აღნიშნული მოთხოვნა ეხება ყველას და ატარებს სისტემატურ ხასიათს, რაც გულისხმობს ყოველწლიურად გადაბარებას. შესაბამისად, საგამოცდო საკითხების შინაარსი იქნება ეტაპობრივად გაზრდილი. გამოცდების ჩაბარება მიზნად ისახავს პირად მწვრთნელის კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ სათანადო ფორმაში ყოფნის უზრუნველყოფას. გამომდინარე აქედან, ჩვენი მიზანია არა ვინმეს გამოკლება ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროგრამებიდან, არამედ სათანადო, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სპეციალისტად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ქულების შენარჩუნების უნივერსალურობის პრინციპიდან გამომდინარე სპორტსმენებს მათ მიერ მოპოვებული ქულები უნარჩუნდებათ, მიუხედავად იმისა, ისინი იცვლიან თუ არა წონით კატეგორიას.

აღნიშნული პრინციპი მოქმედებს სამივე ასაკის მოზარდებს შორის.

დაუშვებელია 11-12 და 13-14 წლის ბავშვებში წონის კლება. ამ უაღრესად მანკიერი მიდგომის თავიდან ასაცილებლად, შეგნებულად არის შერჩეული წონითი კატეგორიები რომელთა შორის სხვაობა,

მინიმუმამდეა დაყვანილი. სისტემატურად მოხდება, როგორც შეჯიბრის დამთავრების, ასევე შეჯიბრებებს შორის პერიოდში სპორტსმენების გადამოწმება. თუკი შემოწმებით გამოვლინდება, რომ ამ ასაკის ბავშვებში ძიუდოსტის წონა მის საშეჯიბრო წონასთან შედარებით 1 კგ-ით მაინც მეტი აღმოჩნდა (ანუ იმ წონასთან შედარებით, რომელშიც მან მიიღო მონაწილეობა), მისი პირადი მწვრთნელი ამოღებული იქნება წლის განმავლობაში მისაღები სახელფასო თუ სასტიპენდიო სიიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ მასზე აღარ გაიცემა არანაირი ფინანსური სარგებელი, თუნდაც მისი სხვა მოსწავლისგან ყველანაირი წესების თუ მოთხოვნების დაცვით მოპოვებული. რაც შეეხება განმეორებით ფაქტს, ასეთის დადასტურების შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი განიხილავს საკითხს მწვრთნელისთვის სამწვრთნელო პროცესის აკრძალვის თაობაზე. რაც შეეხება 15-16 წლის მოზარდთა კატეგორიებს აქ შესაძლებელია +1 კგ -ით მეტი წონის ქონა. გადამოწმების დროს ერთ კილოგრამზე მეტის დაფიქსირება მის საშეჯიბრო წონასთან შედარებით პირად მწვრთნელთან მიმართებაში გამოიწვევს იმავე შედეგებს, რაც უკვე თავში იყო განმარტებული.

დაუშვებელია 16 წლამდე ბავშვებში ფიზიკური შესაძლებლობების გაზრდა სიმძიმეების (შტანგის) გამოყენებით. ისევე როგორც წონასთან მიმართებაში, ამ კუთხითაც მოხდება გარკვეული კონტროლის მექანიზმის შემოღება. წესის დამრღვევ პირად მწვრთნელებთან მიმართებაში კი გარკვეული სადისციპლინო ღონისძიების გატარება.

სეზონის დამთავრების შემდეგ კონკრეტულ ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლენილი ძიუდოსტის წარმატებისთვის განკუთვნილი პრემიალური თანხების მიღებამდე პირადი მწვრთნელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი სპორტსმენების სათანადო მომზადება გამოცდების ხელახლა ჩასაბარებლად. სპორტსმენის მიერ გამოცდების ჩაბარების ხარისხი იქნება განმსაზღვრელი იმისა, თუ რა პროცენტული რაოდენობის თანხას მიიღებს მისი პირადი მწვრთნელი მისივე აღსაზრდელის კონკრეტული ადგილის დაკავებისთვის განკუთვნილი თანხიდან.

გამოცდების შედეგების შესაბამისობა გასაცემი თანხის რაოდენობასთან განისაზღვრება შემდეგი პრინციპის მიხედვით:

1. 80% ით და მეტით გამოცდის ჩაბარების სიზუსტის შემთხვევაში დაგროვილი თანხის სრული მოცულობა 100%.
2. 70-დან 80%-მდე სიზუსტის შემთხვევაში, დაგროვილი თანხის 80%.
3. 60-დან 70%-მდე სიზუსტის შემთხვევაში, მისაღები თანხის მხოლოდ 70%.
4. 60% იანი ბარიერის დაუძლეველობის შემთხვევაში გასაცემი თანხა განულდება

დანართი #1 - საპრიზო თანხის ოდენობა და მისი განაწილების წესი 11-12 წელის ბავშვების სარეიტინგო ტურნირებში.

საერთო საპრიზო თანხის მოცულობა 70 000 ლარი ნაწილდება სეზონის დასრულების შემდეგ რეიტინგის პირველ 60-ეულში მყოფი ძიუდოსტების პირად მწვრთნელებს შორის შემდეგი პრინციპის მიხედვით:

- 1-10 ადგილი - 2 000 ლარი;
- 11-20 ადგილი - 1 500 ლარი;
- 21-30 ადგილი - 1 300 ლარი;
- 31-40 ადგილი - 1 000 ლარი;
- 41-50 ადგილი - 700 ლარი;
- 51-60 ადგილი - 500 ლარი.

დანართი #2 - საპრიზო თანხის ოდენობა და მისი განაწილების წესი 13-14 წლის ბავშვების სარეიტინგო ტურნირებში.

საერთო საპრიზო თანხის მოცულობა **90 000** ლარი ნაწილდება სეზონის დასრულების შემდეგ რეიტინგის პირველ 60-ეულში მყოფი ძიუდოისტების პირად მწვრთნელებს შორის შემდეგი პრინციპის მიხედვით:

- 1-10 ადგილი - 2 400 ლარი;
- 11-20 ადგილი - 1 900 ლარი;
- 21-30 ადგილი - 1 600 ლარი;
- 31-40 ადგილი - 1 300 ლარი;
- 41-50 ადგილი - 1 000 ლარი;
- 51-60 ადგილი - 800 ლარი.

დანართი #3 - საპრიზო თანხის ოდენობა და მისი განაწილების წესი 15-16 წლის მოზარდების სარეიტინგო ტურნირებში.

საერთო საპრიზო თანხა **140 000** ლარი.

განსხვავებით წინა ორი ასაკის ბავშვების სისტემისგან აქ რეიტინგი და შესაბამისი ფინანსების განაწილების წესი გამომდინარეობს შემდეგი პრინციპიდან. კერძოდ; ძიუდოისტები აგროვებენ ქულებს 5 სარეიტინგო შეჯიბრებაში, რომელიც გაწერილია შესაბამისი წლის კალენდარში. დაგროვილი ქულების რაოდენობა განსაზღვრავს შესაბამისი ძიუდოისტი იასპარეზებს თუ არა მეექვსე ტურნირში, რომელსაც პირობითად ჰქვია მასტერსი-საქართველოს ჩემპიონატი. შესაბამის დასკვნით შეჯიბრებაში წონით კატეგორიაში დაიშვება მხოლოდ 16 საუკეთესო სპორტსმენი, რაც დგინდება მათ მიერ წლის განმავლობაში დაგროვილი ქულებიდან გამომდინარე.

მასტერსი-საქართველოს ჩემპიონატში ძიუდოისტების მიერ დაკავებული ადგილის შესაბამისად მათი პირადი მწვრთნელები მიიღებენ შემდეგი ოდენობის თანხას თითოეულ სპორტსმენზე:

- | | |
|-------------------|--------------------|
| 1 ადგილი - 2 500; | 9-12 ადგილი - 800 |
| 2 ადგილი - 1 900; | 9-12 ადგილი - 800 |
| 3 ადგილი - 1 500; | 9-12 ადგილი - 800 |
| 3 ადგილი - 1 500; | 9-12 ადგილი - 800 |
| 5 ადგილი - 1 250; | 13-16 ადგილი - 600 |
| 5 ადგილი - 1 250; | 13-16 ადგილი - 600 |
| 7 ადგილი - 1000; | 13-16 ადგილი - 600 |
| 7 ადგილი - 1000; | 13-16 ადგილი - 600 |

წონითი კატეგორიები:

11-12 წლის ძიუდოსტისთვის

10 წონითი კატეგორია: -24კგ, -27კგ, -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, -50კგ, -55კგ, +55კგ.

13-14 წლის ძიუდოსტისთვის

10 წონითი კატეგორია: -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, +73კგ.

15-16 წლის ძიუდოსტისთვის

8 წონითი კატეგორია: -50კგ, 55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ.

სარეიტინგო ქულები:

1 ადგილი - 100 ქულა

2 ადგილი - 70 ქულა

3 ადგილი - 50 ქულა

5 ადგილი - 36 ქულა

7 ადგილი - 26 ქულა

თითო შეხვედრის მოგება - 4 ქულა

მონაწილეობა - 2 ქულა

პ.ს.წონითი კატეგორიები და საპრიზო თანხები შესაძლებელია დაკორექტირდეს საჭიროებიდან გამომდინარე.